საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 10 ივლისის №87 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 10 ივლისის №87 სხდომაზე სტუ-ის სენატის სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სენატის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

სენატმა დაადგინა: ცნობილ იქნეს სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორების – ირაკლი ყრუაშვილისა და გიორგი გაგოშიძის, სტუდენტების – ნიკოლოზ მარგიანისა და ლაშა სებისკვერაძის უფლებამოსილება სტუ-ის სენატის წევრებად.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 10 ივლისის №87 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 10 ივლისის №87 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის **2015** წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. 2015 წლის 29 ივნისს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან გაფორმებული №CF/41/2-812/15 ხელშეკრულების თანახმად, გათვალისწინებულია 2015 წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტის „აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის დაბადებიდან 85-ე წლისთავისადმი“ მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა“ დაფინანსება 40 000 ლარით. პროექტში სტუ-ის თანადაფინანსების წილი 10 000 ლარს შეადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის საშემოსავლო ნაწილი, გრანტების გრაფა გაიზარდოს 40 000 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს პროგრამულად თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. რაც შეეხება თანადაფინანსებას, 10 000 ლარის ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს ადმინისტრაციის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლებიდან;

2. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 22 941 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლში;

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ „ტექინფორმის“ ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის ოფისის ხარჯების, ნორმატიული აქტების,

საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენის მუხლიდან 780 ლარი გადატანილ იქნეს კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების პუნქტში;

4. სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის ოფისის ხარჯების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 28 940 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის მუხლში;

5. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის სამეცნიერო ხარჯებიდან 105 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, არასაცხოვრებელი შენობების მუხლში და იმავე მუხლიდან 3 000 ლარი გადატანილ იქნეს სოციალური უზრუნველყოფის მუხლში;

6. „უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი ცენტრის“ ბიუჯეტში, რაც ასახულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და, შესაბამისად, ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 2 200 ლარი გადატანილ იქნეს მივლინებების მუხლში.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 10 ივლისის №87 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 10 ივლისის №87 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი შპს „ნინო გერგიძე - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერიასთვის" დავალიანების დაფარვის გრაფიკის გაფორმების შესახებ.

სენატმა დაადგინა: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას გაუფორმოს დავალიანების დაფარვის გრაფიკი შპს „ნინო გერგიძე - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერიას" 6 წლის ვადით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 10 ივლისის №87 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 10 ივლისის №87 სხდომაზე სტუ-ის ალმასების და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფ. ნიკა ლოლაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის „ალმასებისა და კომპოზიციური მასალების“ სამეცნიერო ცენტრისათვის თანხის გამოყოფის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 ივნისის დადგენილება №1586.

სენატმა დაადგინა:

1. ეთხოვოს სტუ-ის ადმინისტრაციას, ,,სტუ-ის ალმასებისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრს“ პროექტისათვის ზოგიერთი ტექნოლოგიური პარამეტრების შემუშავება ,,ბეტონის სუპერიატაკების“ მისაღებად, ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესასრულებლად გამოყოს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი უნივერსიტეტის ა/წ ბიუჯეტიდან;
2. სამუშაოს შესრულების ვადად განისაზღვროს 6 თვე.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 10 ივლისის №87 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 10 ივლისის №87 სხდომაზე პროფ. ვაჟა შუბითიძემ წარმოადგინა საკითხი სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხაშურის ფილიალის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 ივნისის დადგენილება №1596.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხაშურის ფილიალის შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 10 ივლისის №87 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 10 ივლისის №87 სხდომაზე პროფ. ჰენრი კუპრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ააიპ საქართველოს ცურვის ეროვნულ სახეობათა ფედერაციის წევრობის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 ივნისის დადგენილება №1599.

სენატმა დაადგინა: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“ წესდების მე-2 მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გახდეს ააიპ საქართველოს ცურვის ეროვნულ სახეობათა ფედერაციის წევრი.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 10 ივლისის №87 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 10 ივლისის №87 სხდომაზე პროფ. ჰენრი კუპრაშვილმა წარმოადგინა საკითხი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ცურვის სპორტული კლუბი სტუ“-ს დაფუძნების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 ივნისის დადგენილება №1600.

სენატმა დაადგინა: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“ წესდების მე-2 მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, როგორც ერთ-ერთი დამფუძნებლის მიერ დაფუძნებულ იქნეს არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი „ცურვის სპორტული კლუბი სტუ“.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 10 ივლისის №87 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 10 ივლისის №87 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილება, კერძოდ:

1. მიმდინარე წლის 1-ლი აგვისტოდან უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის დიპლომების განყოფილება გარდაიქმნას დიპლომების დეპარტამენტად. განყოფილების უფროსის საშტატო ერთეული გადაკეთდეს დეპარტამენტის უფროსის საშტატო ერთეულად, ყოველთვიური ანაზღაურებით 1 800 ლარი, ნაცვლად 1 000 ლარისა.
2. ზემოაღნიშნული არ იწვევს ცვლილებებს საშტატო ერთეულების რაოდენობის თვალსაზრისით. რაც შეეხება ფინანსურ ცვლილებას, მიმდინარე წლის ბოლომდე სახელფასო ფონდის მატება შეადგენს 4 000 ლარს.
3. ზემოთქმული თანხა 4 000 ლარი, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების, თანამდებობრივი სარგოს მუხლში.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე